დანართი N1

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს მიერ ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1. სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს (შემდგომში - ,,მაუწყებელი“) მიერ ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი (შემდგომში - წესი) შემუშავებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და განსაზღვრავს მაუწყებლის მიერ ვიდეომონიტორინგის განხორციელების მიზანს, მონაცემთა დამუშავების წესს, ასევე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს.

1.2. წესის მიზანია პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას (ვიდეომონიტორინგი) ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.

1.3. ამ წესის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მნიშვნელობა.

1.4. მაუწყებელში ვიდეომონიტორინგის განხორციელებისა და მონაცემთა დამუშავების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი და წინამდებარე წესი.

მუხლი 2. ვიდეომონიტორინგის განხორციელების პრინციპები

2.1. ვიდეომონიტორინგის განხორციელებისას დაცული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მონაცემთა დამუშავების პრინციპები.

2.2. ფიზიკური პირი, რომლის პერსონალური მონაცემებიც მუშავდება, სარგებლობს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მონაცემთა სუბიექტის უფლებებით.

მუხლი 3. ვიდეომონიტორინგის განხორციელების მიზანი

მაუწყებლის მიერ ვიდეომონიტორინგის განხორციელების მიზანს წარმოადგენს მაუწყებლის საკუთრების დაცვა და პირთა უსაფრთხოება.

მუხლი 4.ვიდეომონიტორინგის განხორციელება

4.1. ვიდეოკამერების რაოდენობა, განთავსება და გარჩევადობა უნდა შეესაბამებოდეს ვიდეომონიტორინგის მიზანს. კამერები უნდა განთავსდეს იმგვარად, რომ მინიმალური სივრცის კონტროლის გზით იქნეს მიღწეული მიზანი. თუ კი მიზნის მიღწევა შესაძლებელია დაბალი გარჩევადობის მქონე ვიდეოკამერებით და არსებობს მიზანთან შეუსაბამოდ, დიდი მოცულობით (მათ შორის განსაკუთრებული

კატეგორიის მონაცემთა) შეგროვების საფრთხე, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ამგვარ აპარატურას.

4.2. მაუწყებლის მიერ განთავსებული ვიდეომონიტორინგის სისტემის მეშვეობით ხორციელდება მხოლოდ ვიზუალური მონიტორინგი (აუდიოჩაწერის გარეშე). ვიდეოთვალთვალის სისტემა მუშაობს როგორც რეალურ დროში გადაცემის, ისე ჩაწერის რეჟიმში.

4.3. მაუწყებელში ვიდეომონიტორინგი ხორციელდება:

ა) შესასვლელების პერიმეტრზე;

ბ) სტუდიებში, დერეფნებსა და კიბის უჯრედებში;

გ) შენობების გარე პერიმეტრზე;

დ) ვიდეო კამერების პარკის ოთახზე.

4.4. დაუშვებელია ვიდეომონიტორინგის განხორციელება, ჰიგიენისთვის განკუთვნილ ადგილებში ან ისეთ სივრცეში, სადაც სუბიექტს პირადი ცხოვრების დაცულობის გონივრული მოლოდინი აქვს ან/და ვიდეომონიტორინგის განხორციელება საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს ეწინააღმდეგება.

4.5. დაუშვებელია ვიდეო სათვალთვალო სისტემის გამოყენება სხვა მიზნებისთვის, გარდა ამ წესის მე-3 მუხლში მითითებული მიზნებისა, მათ შორის, დაუშვებელია ვიდეომონიტორინგის სისტემის გამოყენება თანამშრომელთა მონიტორინგის და/ან მათ მიმართ დისციპლინური წარმოების განხორციელების მიზნით.

4.6. დასაქმებული პირის სამუშაო პროცესის/სივრცის ვიდეომონიტორინგი დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, თუ 3.1. პუნქტით განსაზღვრული მიზნების მიღწევა სხვა საშუალებით შეუძლებელია ან დაკავშირებულია არაპროპორციულად დიდ ძალისხმევასთან. მოცემულ შემთხვევაში, ვიდეომონიტორინგის კონკრეტული მიზნის შესახებ, დასაქმებული ინფორმირებული უნდა იქნას წერილობითი ფორმით.

მუხლი 5.მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება

5.1. ვიდეომონიტორინგის მიმდინარეობის შესახებ შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშანი (ფორმა №1) განთავსებული უნდა იყოს თვალსაჩინო ადგილას - თითოეული კამერის ხედვის არეალში მოხვედრამდე.

5.2. ვიდეომონიტორინგის მიმდინარეობის შესახებ გამაფრთხილებელი ნიშანი უნდა შეიცავდეს შესაბამის წარწერას, მარტივად აღქმად გამოსახულებას ვიდეომონიტორინგის მიმდინარეობის თაობაზე და დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის სახელწოდებასა და მის საკონტაქტო მონაცემებს.

მუხლი 6. ვიდეომონიტორინგზე და მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი

6.1. ვიდეომონიტორინგი ხორციელდება მაუწყებლის შენობაში ამ მიზნით სპეციალურად მოწყობილ სივრცეში ან/და დაცულ ოთახში.

6.2. ვიდეო სათვალთვალო სისტემის (როგორც რეალურ, ისე ჩაწერილ) მონაცემების წვდომაზე, ვიდეომონიტორინგის შედეგად მიღებულ მონაცემთა დამუშავებაზე (ნახვა, გადახვევა, ამოღება, გადმოწერა) პასუხისმგებელი პირები განისაზღვრება მაუწყებლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, რომელთანაც ფორმდება ხელშეკრულება.

6.3. დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა უზრუნველყოს ვიდეოჩანაწერებზე წვდომის თითოეული შემთხვევის აღრიცხვა, მათ შორის, წვდომის დროისა და მომხმარებლის სახელის აღრიცხვა, რომელიც წვდომის განმახორციელებელი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლევა.

6.4. ვიდეოსათვალთვალო სისტემაზე წვდომის უფლებამოსილების მქონე პირ(ებ)ის სამსახურიდან წასვლის ან/და მივლინების ან/და შვებულების დროს პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლებამოსილება გააჩნია უფლებამონაცვლე პირ(ებ)ს, რომლ(ებ)ზეც გადადის იგივე უფლება-მოვალეობები.

მუხლი 7. ვიდეომონიტორინგის რეალურ დროში განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების მოვალეობები

ვიდეომონიტორინგი რეალურ დროში განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია:

ა) მიუკერძოებლად და სრულყოფილად განახორციელოს ვიდეომონიტორინგი;

ბ) დაიცვას ინფორმაციის უსაფრთხოება და კონფიდენციალურობის პრინციპი;

გ) ინციდენტის შეტყობინებაზე პასუხისმგებელ პირს შეატყობინოს დარღვევ(ებ)ის/ინციდენტ(ებ)ის გამოვლენის შესახებ.

მუხლი 8. მონაცემთა უსაფრთხოება

8.1. მაუწყებელში უნდა განხორციელდეს მონაცემთა უსაფრთხოებისთვის შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები.

8.2. ვიდეომონიტორინგის სისტემა და ვიდეოჩანაწერები დაცული უნდა იყოს არამართლზომიერი ხელყოფისა და გამოყენებისგან.

8.3. ვიდეომონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების დამუშავება ხორციელდება ამ მიზნით გამოყოფილ ოთახში (შემდგომ – მონაცემთა მართვის ოთახი) მაუწყებლის უფლებამოსილი პირების მიერ, მიზნების შესაბამისად.

8.4. ვიდეო ჩანაწერების შენახვა უნდა განხორციელდეს ფაილური სისტემის მეშვეობით. ჩანაწერების (სურათები/ხმა) გარდა, სისტემა უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მონაცემთა დამუშავების თარიღის, ადგილისა და დროის შესახებ.

8.5. ჩანაწერის ან რეალურ დროში გამოსახულების გადაცემა მოწყობილობიდან სერვერამდე უნდა ხდებოდეს ინფორმაციის მთლიანობისა და უწყვეტობის პირობების დაცვით.

8.6. დაუშვებელია არასამსახურებრივი მიზნით ვიდეოჩანაწერების დამუშავება, აღნიშნული წარმოადგენს დისციპლინური წარმოების დაწყებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სახის ღონისძიებების გატარების საფუძველს.

8.7. ვიდეომონიტორინგის შედეგად მიღებული ჩანაწერი ინახება არა უმეტეს 45 დღისა.

8.8. აკრძალულია მონაცემთა მართვის ოთახში ფოტო/ვიდეო/აუდიო გადაღება/ჩაწერა და ტექნიკური ან/და ელექტრონული მანიპულაციები, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა.

8.9. რეალურ დროში მონიტონიგის განხორციელებისას ეკრანზე გამოსახულება ხელმისაწვდომი არ უნდა იყოს სხვა პირებისთვის.

მუხლი 9. ვიდეოჩანაწერების შენახვა, გადაცემა და წაშლა

9.1. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მაუწყებელი ახორციელებს ვიდეომონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის ჩაწერასა და შენახვას.

9.2. ვიდეომონიტორინგის განხორციელებისას ინფორმაციის ჩაწერა მიმდინარეობს ავტომატურ რეჟიმში. ჩაწერილი მონაცემები ინახება მონაცემთა მართვის ოთახებში განთავსებულ სერვერებზე, არაუმეტეს 45 დღის ვადით, რა დროსაც ხორციელდება ახალი ინფორმაციის ავტომატური გადაწერა, ამავე მოწყობილობის მეხსიერებაზე არსებული ინფორმაციის ავტომატურად წაშლის შედეგად.

9.3. ჩამწერი მოწყობილობა დალუქული უნდა იყოს იმგვარად, რომ სხვა ელექტრონულ მოწყობილობასთან დაკავშირება (მათ შორის, USB კაბელით) შეუძლებელი იყოს ლუქის დაზიანების გარეშე. ჩამწერი მოწყობილობის დალუქვას ახდენს უფლებამოსილი პირი.

9.4. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ვიდეოჩანაწერის მესამე პირისთვის გადაცემისას, უფლებამოსილი პირი ვალდებულია უზრუნველყოს ინფორმაციის რეგისტრაციის აღრიცხვა.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებები

10.1. სამართლებრივი ურთიერთობები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე წესით, წესრიგდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონითა და მოქმედი კანონმდებლობით.

10.2. წინამდებარე წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მაუწყებლის დირექტორის ბრძანებით.

,,სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს მიერ ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ მაუწყებლის დირექტორის ბრძანების

ფორმა N1